FRENCH EAST INDIA BOND COMPANY

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია

IZOLDA BELTADZE

Doctor of historical sciences,
Professor of Batumi Shota Rustaveli State University
№35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
Beltadzeizoda@gmail.com,+995599110111
Orcid ID:0000-0002-7488-5732

Abstract

The French East India Bond Company (1664-1795) differed from other: British, Dutch, Danish East India companies, in its material condition. It was the richest company. Its financial superiority was primarily due to the great support of the royal government.

It turns out that King Louis XIV was a shareholder of the East India Bond Company, so he would undoubtedly be interested in its profits, for which he provided full material and legal support to the company's merchants.

He was ready to send warships at his own expense to Africa, West and East India to protect them. Moreover, in addition to merchants, shares were invested in the company: the queen, the chancellor, the nobility, mayors, and rich townspeople. The king often helped bankrupt shareholders. If necessary, he invested capital in the company. This happened several times. As it turns out, he had a total of 7 million invested in the company and did not make any profit for 5 years, but nevertheless he took risks and provided financial assistance to the company that was on the verge of bankruptcy.

Through the French East India Bond Company, a large amount of goods flowed from the east: gold, precious stones, pearls, coral, precious fabrics, various spices, silk and cotton raw materials, etc. Sh, which left a huge profit. Therefore, the desire to make a profit was at the forefront, but the company could not maintain its monopoly in the East, primarily because England had to compete, in addition, the shareholders were not united, the majority of the company was not represented by large merchants, they could not provide unified governance in the colonies, they were not able to maintain the fleet, as a result of which the company was dissolved in 1795.

Keywords: Bond; shareholder; board of directors; declaration; collector;

იზოლდა ბელთაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი.
ბათუმი. ნინოშვილის № 35 საქართველო.
Beltadzeizoda@gmail.com, +995599110111
Orcid ID:0000-0002-7488-5732

აბსტრაქტი

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია (1664-1795 წწ) განსხვავდებოდა სხვა: ბრიტანული, ჰოლანდიური, დანიური ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიებისაგან, თავისი მატერიალური მდგომარეობით. ის იყო ყველაზე მდიდარი კომპანია. სწორედ მის ფინანსურ უპირატესობას განაპირობებდა პირველ რიგში სამეფო ხელისუფლების უდიდესი მხარდაჭერა.

ირკვევა, რომ საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1643-1715 წწ) იყო ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის მეწილე, ამიტომ მისი მოგებით უთუოდ იქნებოდა დაინტერესებული, რისთვისაც იგი სრულ მატერიალურ და იურიდიულ მხარდაჭერას უცხადებდა კომპანიის ვაჭრებს. მათ დასაცავად მზად იყო აფრიკის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ინდოეთის მიმართულებით თავისი ხარჯით სამხედრო გემებიც კი გაეგზავნა. უფრო მეტიც, კომპანიაში ვაჭრების გარდა აქციები შეჰქონდათ: დედოფალს, კანცლერს, თავადაზნაურობას, მერებს, მდიდარ ქალაქელებს. მეფე ხშირად ეხმარებოდა აქციონერებს. საჭიროების შემთხვევაში ის აბანდებდა კომპანიაში კაპიტალს. ეს მოხდა რამდენჯერმე. როგორც ირკვევა, მას 5 წლის მანძილზე სულ 7 მლნ ლივრი ჰქონია კომპანიაში შეტანილი და არანაირი მოგება არ მიუღია, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც რისკზე მიდიოდა და უფრო მეტიც გაკოტრების პირას მისულ კომპანიას ფინანსურ დახმარებასაც უწევდა.

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის მეშვეობით აღმოსავლეთიდან დიდძალი სიმდიდრე: ოქრო, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, მარჯანი, ძვირფასი ქსოვილები, სხვადასხვა სანელებლები, აბრეშუმის და ბამბის ნედლეული და ა. შ. მოედინებოდა, რომელიც დიდძალ მოგებას ტოვებდა. ამიტომაც მოგების მიღების სურვილი წინა პლანზე იდგა, მაგრამ საფრანგეთის საპაიო კომპანიამ თავისი მონოპოლია აღმოსავლეთში ვერ შეინარჩუნა, პირველ რიგში იმიტომ, რომ ინგლისი კონკურენციას უწევდა. გარდა ამისა, აქციონერები არ იყვნენ ერთიანი, კოლონიებში ვერ უზრუნველყოფდნენ ეფექტურ მმართველობას, კომპანიაში უმეტესობას არ წარმოადგენდა მსხვილი ვაჭრები, ვერ ახერხებდნენ ფლოტის შენახვას, რის შედეგადაც კომპანია 1795 წელს დაიშალა.

საკვანძო სიტყვები: საპაიო; აქციონერი; დირექტორთა საბჭო; დეკლარაცია; კილექტორი;

შესავალი

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ როგორ შეიქმნა საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია, როგორი იყო მისი საწყისი კაპიტალი, რომელ მიწებზე ვაჭრობდნენ, ქვეყანაში რა საქონელი შემოჰქონდათ, როგორი იყო კომპანიის შემადგენლობა, მმართველობა, რით განსხვავდებოდა ის სხვა საპაიო კომპანიებისაგან, რა უპირატესობა გააჩნდა მას, როგორი იყო

სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება კომპანიისადმი და ბოლოს, როგორ დასრულდა მისი საქმიანობა, რამ შუშალა ხელი მის შემდგომ წარმატებას აღმოსავლეთში.

საინტერესოა როგორ განისაზრვრებოდა კომპანიის წევრთა უფლებები, როგორ ხდებოდა დირექტორთა საბჭოს არჩევნები, რომელ ქალაქებში ჰქონდათ ოფისები და რა როლი შეასრულა საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ზემოთ აღნიშნული საკითხები.

მეთოდები

წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: მიზეზ - შედეგობრივი ანალიზი, აბსტრაქცია, ემპირიული ანალიზი, შედარებითი-ისტორიული მეთოდი, სისტემური ანალიზი.

შედეგები

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი საპაიო კომპანიების ისტორია. ჩვენ ნაწილობრივ შევისწავლეთ ინგლისის, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის და ლევანტის საპაიო კომპანიების ისტორია (ბელთაძე, 2022ა; ბელთაძე, 2022ბ; ბელთაძე, 2023), ხოლო საფრანგეთის საპაიო კომპანიის შესწავლისას გამოვიყენეთ უცხოელი ავტორების: ა. კამინკას, ი. კულიშერის, ა. ლოპო-დანილოვსკის, ა. სმიტის, ი. ტარასოვის, პ. ჩერკასოვის შრომები.

ირკვევა, რომ საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია იყო ერთ-ერთი უმდიდრესი კომპანია, რომლის ქონება 285 მილიონ ლივრს შეადგენდა. ის ფინანსურად წინ უსწრებდა სხვა, ინგლისის, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიებს.

მეფე ლუი XIV თვითონ ყოფილა აქციონერი და ამიტომ აქტიურად მონაწილებდა კომპანიის ფინანსურ ოპერაციებში. ის კომპანიის ვაჭრებს მატერიალურ და იურიდიულ მხარდაჭერას უწევდა. მათ დასაცავად აფრიკის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ინდოეთის მიმართულებით თავისი ხარჯით სამხედრო გემებსაც აგზავნიდა.

კომპანიის აქციონერები იყვნენ მეფის გარდა მისი ქვეშევრდომები: დედოფალი, დოფინ კოლბერი, კანცლერი პიერ დე სეგიე, თავადაზნაურობა, მერები, მდიდარი ქალაქელები.

კომპანიის წევრთა უფლებები: დირექტორთა საბჭოს არჩევა, ხმის მიცემის უფლება და ა.შ. განისაზღვრებოდა კომპანიის წევრთა მატერიალური მდგომარეობით, მათ მიერ კომპანიაში შეტანილი წილის მიხედვით.

კომპანიას ექვსი ოფისი ჰქონდა გახსნილი შემდეგ ქალაქებში: პარიზში, რუანაში, ბორდოში, ჰავრში, ლიონსა და ნანტში.

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის წყალობით აღმოსავლეთიდან შემოდიოდა დიდძალი სიმდიდრე: ოქრო, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, მარჯანი, ძვირფასი ქსოვილები, სხვადასხვა სანელებლები და ა. შ, რომელიც დიდ მოგებას უტოვებდა ქვეყანას.

ირკვევა, რომ საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია თავისი მატერიალური მდგომარეობით, სხვა ბრიტანული, ჰოლანდიური, დანიური ოსტ-ინდოეთის

კომპანიებისაგან განსხვავდებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის იყო ყველაზე მდიდარი კომპანია. მაგრამ მან ვერ შეინარჩუნა თავისი მონოპოლია აღმოსავლეთში, პირველ რიგში იმიტომ, რომ ინგლისი უწევდა კონკურენციას. გარდა ამისა კომპანიაში აქციონერების უმეტესობა მსხვილი ვაჭრები არ იყვნენ, კოლონიებში ვერ უზრუნველყვეს ერთიან მმართველობა, რის შედეგადაც კომპანია 1795 წელს დაიშალა.

მსჯელობა

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია უმდიდრესი კომპანია იყო, რომელიც წინ უსწრებდა სხვა, ინგლისის, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება აღინიშნოს რომ, ფრანგული ოსტ-ინდოეთის კომპანიის საწყისი კაპიტალი შეადგენდა 15 მლნ ლივრს, ინგლისის ოსტ-ინდოეთის - 6 მლნ 429 ფუნტ სტერლინგს, ხოლო ჰოლანდიისას - 540 ათას გულდენს.

საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის (1643- 1615 წწ) ინიციატივით და ფინანსთა მინისტრის ჟან ბატისტ კოლბერის მხარდაჭერით 1664 წელს ინგლისელთა და ჰოლანდიელთა მსგავსად შეიქმნა საფრანგეთის აღმოსავლეთ ინდოეთის საპაიო კომპანია, რისთვისაც შეიკრიბა 119 ქალაქის ვაჭართა წარმომადგენელი. აქედან 300 იყო პარიზიდან.

მეფემ შესთავაზა მათ, რომ ახალი კომპანიის საწყისი კაპიტალი 15 მილიონი ლივრი დაეწესებინათ, რომელიც აქციონერებს სამი წლის განმავლობაში უნდა შეეტანათ. სახელმწიფო დათანხმდა პირველი შესატანი ყოფილიყო 3 მილიონი ლივრი, კიდევ დამატებით - 300 ათასი ლივრი პირველი ექსპედიციის აღჭურვისავის. მეფე ასევე დათანხმდა დამატებით ყოველ ჯერზე 300 ათასი ლივრი შეეტანა თუ კერძო აქციონერები (ვაჭრები-ი.ბ) 400 ათასს ლივრს შეიტანდნენ (Смит, 2009, გვ.27).

როგორც ირკვევა, მეფე თვითონ გახდა აქციონერი და აქტიურად მონაწილეობდა კომპანიის ფინანსურ საქმეებში. კომპანიაში აქციები შეჰქონდა მეფის გარდა მის ქვეშევრდომებს: დედოფალს, დოფინ კოლბერს, კანცლერ პიერ დე სეგიეს, თავადაზნაურობას, მერებს, მდიდარ ქალაქელებს . კომპანიაში პაის სახით პრინცებმა და კანცლერმა შეიტანეს 20-50 ათასი ლივრი. პირადად კოლბერმა (ფინანსთა მინისტრმა) შეიტანა 30 ათასი ლივრი, ხოლო მსხვილი ქალაქებიდან შეგროვდა რამდენიმე ათასი ლივრი. სულ შეგროვდა 6, 6 მლნ. ლივრი. აქედან კერძო პირთა კაპიტალი შეადგენდა 3, 6 მლნ ლივრს (Кулишер, 2004, გვ. 331).

როგორც ჩანს, საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის შემადგენლობა არ იყო ერთგვაროვანი. პაი შეჰქონდა ვაჭრებს, მეფეს, მეფის ქვეშევრდომებს-მდიდარ ადამიანებს. ვინაიდან დიდი იყო მეფის დაინტერესება აღმოსავლეთის სიმდიდრით: ოქროს საბადოებით, ფულით, ძვირფასეულობით, სწორედ ამიტომ ის აქტიურად ერეოდა კომპანიის საქმეებში.

დადგინდა, რომ კომპანიას უხელმძღვანელებდა 12 კაცისაგან შემდგრი დირექტორთა საბჭო, რომელსაც აირჩევდნენ იმ ვაჭართა რიგებიდან, რომელთაც 20 ათას ლივრზე მეტი აქცია ექნებოდა, ხოლო ხმის მიცემის უფლება ჰქონდა ინვესტორებს, რომლებსაც 6 ათას ლივრზე მეტი თანხა ჰქონდათ შეტანილი კომპანიაში. დირექტორთა საბჭო თავდაპირველად პარიზში იმყოფებოდა.

გამოდის, რომ კომპანიის წევრთა უფლებები: დირექტორთა საბჭოს არჩევა, ხმის მიცემის უფლება და ა. შ. განისაზღვრებოდა კომპანიის წევრთა მატერიალური მდგომარეობით, მათ მიერ კომპანიაში შეტანილი წილის მიხედვით.

კომპანიის დაარების თარიღია 1664 წლის 27 აგვისტო. აღნიშნული თარიღით პარიზის პარლამენტს წარედგინა „მეფის დეკლარაცია აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის დაარსების შესახებ“, ხოლო 1 სექტემბერს იგი საზეიმოდ დაამტკიცეს დეპუტატებმა. ეს დეკლარაცია მოიცავდა 48 მუხლს. აქ შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე:

მუხლი 36. „კომპანიას უფლება ჰქონდა საფრანგეთის მეფის სახელით გაეგზავნა ელჩები ინდოეთისა და მადაგასკარის მმართველებთან; გამოეუცხადებინა ომი ან მშვიდობა, ან განეხორციელებინა ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც მიმართული იქნებოდა საფრანგეთის ვაჭრობის ხელშეწყობისათვის.“

მუხლი 37. „ზემოხსენებულ კომპანიას შეეძლო საქმიანობა კეთილი იმედის კონცხიდან მაგელანის სრუტემდე, წყნარი და ინდოეთის ოკეანის წყლებში. მეფის ნებართვით კომპანიას მოქმედების ვადა 50 წლით მიეცა და ათვლა იწყებოდა იმ დღიდან, როცა კომპანიის მიერ აღჭურვილი პირველი გემები აღმოსავლეთისკენ გაემართებოდა. კომპანიას უფლება ჰქონდა თავისუფლად წარემართა ვაჭრობა და ნავიგაცია ზემოაღნიშნულ წყლებში. ამავდროულად ამ რეგიონში ნებისმიერი ფრანგული გემის დასაცავად გაიგზავნებოდა კილექტორი (სახედრო გემი-ი.ბ), რათა არ წაერთმიათ საქონელი და მათი ნავიგაცია არ შეეფერხებინათ“

მუხლი 38. „კომპანიის გემების მიერ აღმოჩენილი ყველა მიწა და კუნძული სამუდამოდ მათ მფლობელობაში დარჩებოდა. კომპანიის წარმომადგენლები მართლმსაჯულებასა და კანონიერ უფლებებს კომპანიის მიწებზე განახორციელებდა. თავის მხრივ, საფრანგეთის მეფეს ჰქონდა სრული უფლება მაღაროებზე, ოქროს საბადოებზე, ფულსა და ძვირფასეულობებზე, ისევე როგორც კომპანიის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ სხვა საქონელზე. მეფე პირობას დებდა, რომ სენიორის უფლებას მხოლოდ ქვეყნის ინტერესებისათვის გამოიყენებდა“.

მუხლი 40. “საფრანგეთის მეფე ჰპირდებოდა კომპანიას დაეცვა მისი წარმომადგენლები და მათი ინტერესები ყველგან და ყველასაგან, გამოიყენებდა სამხედრო ძალას კომპანიის თავისუფალი ვაჭრობისა და ნაოსნობის მხარდასაჭერად; მოსპობდა ნებისმიერ სიძნელეებს, ან არასათანადო მოპყრობის მიზეზებს; კომპანიის ხომალდებსა და ტვირთებს გააგზავნიდა თავისი ხარჯებით და იმდენ სამხედრო ხომალდს გააყოლებდა, რამდენიც კომპანიას დასჭირდებოდა და არა მხოლოდ ევროპისა და აფრიკის სანაპიროებზე, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ ინდოეთის წყლებშიც“.

მოტანილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მეფე მხარდაჭერას უცხადებდა ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიას, მისი მეწილე იყო და ამიტომ ის სრულ მატერიალურ და იურიდიულ დახმარებას გაუწევდა კომპანიის ვაჭრებს. მზად იქნებოდა მათ დასაცავად აფრიკის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ინდოეთის მიმართულებით თავისი ხარჯით სამხედრო გემებიც კი გაეგზავნა.

1665 წლის 7 მარტს საფრანგეთიდან, კერძოდ ბრეტანიდან ზღვაში გავიდა შემდეგი გემები: "სენ პოლი", „ტაურეუ", „ვიერგე დე ბონ-პორტი" და „აიგლ ბლანქი", რომელთა ტვირთზიდვა შეადგენდა 60-დან 3 ათას ტონამდე. იხ. ცხრილი №1

ცხრილი №1

გემი	**ტონაჟი**	**კაპიტნები**	**ქვემეხის რაოდენობა**
სენ პოლი	250	შაველ ვერნონ დე ოლერონი	22
ტაურეუ	25	კერკადიუ	30
ვიერგენ დე ბონ პორტი	3000	ტრიუმო	30
აიგალ ბლანქ	60	კლოშეტერი	6

პირველი ექსპედივიის დროს ფრანგებმა დაიკავეს და შექმეს კოლონიები შემდეგ მიწებზე: მადაგასკარის სანაპიროსთან - სოფელ ფორტ-დოფინთან (ახლანდელი ტაულანარუ), მადაგასკარის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე კუნძული ბურბონზე, კუნძულ სანტა მარიაზე.

კომპანიას სიძნელეებიც ექმნებოდა, ვარდებოდა ზარალშიც კი, მაგრამ იმდენად დიდი იყო მოგების მიღების სურვილი, რომ პოულობდნენ გამოსავალს. ასე მაგალითად, 1467 წელს დირექტორებმა ერთად გაუგზავნეს ლუი XIV-ეს ცნობა, რომ კომპანია გაკოტრებულად გამოცხადდებოდა, თუ მეფე ახალ ინვესტიციებს არ ჩადებდა და არ აღმოუჩენდა მათ დახმარებას, რასაც შეიძლება გამოესწორებინა საქმე. ლუი დახმარებაზე დათანხმდა. 1667 წლის თებერვლის ფინანსური ანგარიშების მიხედვით, კომპანიის მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 4 991 000 ლივრი, ხოლო აქციონერებმა მხოლოდ 3 196 730 ლივრი შეიტანეს. ამრიგად, ოსტ-ინდოეთის კომპანიას ჰქონდა დეფიციტი 1,794270 ლივრი, რამაც გაართულა კომპანიის თანამშრომლებისთვის ხელფასების და მომწოდებლებისთვი პაის გადახდა.

მეფე, როდესაც გაეცნო კომპანიაში შექმნილ ვითარებას, შეკრიბა აქციონერები და დაარწმუნა ისინი გაეთვალისწინებინათ შექმნილი პირობები."ნახევარ გზაზე ვერ დავტოვებთ. შეიძლება მე, როგორც ერთ-ერთი მეწილე, ასევე განვიცდი ზარალს, მაგრამ ახალი აქტივებით შეგვიძლია ვცადოთ ჩვენი თანხის დაბრუნება" ე.ი საქმის გამოსწორება (ი.ბ.).

საბოლოოდ, 1668 წლის 20 მარტს, მოვიდა ინფორმაცია გენერალ - გუბერნატორ კარონისგან, რომელიც იტყობინებოდა, რომ ექსპედიციამ წარმატებით მიაღწია ინდოეთს, ვაჭრობა საკმაოდ წარმატებულად წარმართულა, მოგების საშუალო მაჩვენებელი 60%-ზე ასულა. წერილში ასევე აღწერილი იყო, რომ მადაგასკარში ვაჭრობის მდგომარეობა გაუმჯობესებულა. ამ სიახლემ განაპირობა ის, რომ მეფემ კომპანიაში კიდევ 2 მილიონი

ლივრის ინვესტირება მოახდინა, რამაც გადაარჩინა ის გაკოტრებისგან და აქციონერებს საშუალება მისცა ყველაზე მოთხოვნადი ვალები დაეფარათ.

მეფემ ფინანსთა მინისტრის კოლბერის რჩევით, ასევე გადაწყვიტა აქციონერებისთვის მოგების სახით 10 პროცენტი გადაეხადა.

ამ მოვლენამ გამოიწვია აქციონერთა რიგებში გაწევრიანების მსურველთა მკვეთრი ზრდა. სამ თვეში უფრო მეტი თანხა შეგროვდა, ვიდრე წინა 5 წელიწადში. ახლა ვაჭრებმა მოიწონეს კოლბერისა და მეფის წინდახედულება და კომპანიაში ფული მდინარესავით მოედინებოდა. ბევრი იყო მსურველი აღმოსავლეთთან ვაჭრობისათვის თავისი კაპიტალიც კი გაერისკა.

1704 წლის დეკრეტით კომპანიაში შეიქმნა სარევიზიო კომისია 5 აქციონერის შემადგენლობით, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც უნდა შეესწავლა კომპანიის ყველა სესხები და საერთო კრებისათვის ანგარიში ჩაებარებინა (Каминка, 1902, გვ. 256-258). ე.ი. კონტროლის ქვეშ იყო კომპანიის ყველა შემოსავალი და გასავალი.

დიდი ხნის მანძილზე საფრანგეთის საპაიო კომპანია ითვლებოდა მდიდარ და საიმედო ობიექტად ინვესტირებისათვის. აღნიშნულ საპაიო კომპანიაში, ვოლტერმაც კი თავისი დაგროვილი თანხის ნაწილი შეიტანა.

XVIII საუკუნის შუა ხანებში კომპანია ჩავარდა დიდ სიძნელეებში. ინდოეთში ფრანგული გავლენის შემდგომ გაძლიერებას ხელი ბრიტანული აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ შეუშალა.

1756-1763 წლების შვიდწლიანი ომის დროს ბრიტანელებმა მთელი რიგი დამარცხებები მიაყენეს ფრანგებს და მათ ინდოელ მოკავშირეებს, დაამყარეს სრული კონტროლი მთელ ბენგალიაზე. აქ ინგლისის ჯარის მეთაურმა რობერტ კლაივმა საფრანგეთს დიდი დარტყმა მიაყენა, რის შედეგად საფრანგეთმა შეწყვიტა მეტოქეობა დიდ ბრიტანეთთან ინდოეთში, რამაც 1769 წელს ფრანგული აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის ლიკვიდაცია გამოიწვია. კომპანიის ქონება 30 მლნ ლივრი გადაეცა სამეფო ხაზინას. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო კომპანიის ვალების დაფარვა.

1785 წელს, მას შემდეგ რაც კომპანიის დავალიანება დაფარა სახელმწიფომ, ფინანსისტის შარლ ალექსანდრა დე კალონნას რჩევით ფრანგულმა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ განაახლა თავისი საქმიანობა სახელწოდებით "Compagnie des Indes orientales et de la Chine" - “აღმოსავლეთ ინდოეთის და ჩინეთის კომპანია“, რომლის კაპიტალი შეადგენდა 20 მილიონ ლივრს. სამეფო ბრძანებულებამ დაადასტურა კომპანიის მონოპოლიური უფლებები ვაჭრობაზე კეთილი იმედის კონცხის აღმოსავლეთით. შვიდი წლის განმავლობაში კომპანიას შეეძლო განეახლებინა თავისი საქმიანობა ინდოეთში, სიამაში, ინდოჩინეთში, ჩინეთში და იაპონიაში. ფრანგულმა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ თავისი ბიზნეს საქმიანობა სწრაფად გაზარდა, 15 სავაჭრო გემი აღჭურვა. აქციონერთა შემოსავალი 1788 წელს შეადგენდა 18%-ს, ხოლო 1789 წელს - მათი საწყისი ღირებულების 16%-ს. 1790 წლის აპრილისთვის ერთი წილის ღირებულება გაიზარდა ერთნახევარჯერ და შეადგინა 1,5 ათასი ლივრი (Смит, 2009, გვ.48).

მე-18 საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1790 წლის 3 აპრილის ეროვნული ასამბლეის ბრძანებულებით, საფრანგეთის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ დაკარგა სავაჭრო მონოპოლია. იაკობინელების დიქტატურის დამყარებით ყველა სააქციო საზოგადოების საქმიანობა აიკრძალა. საფრანგეთის აღმოსავლეთ ინდოეთის საპაიო კომპანია დაადანაშაულეს კონტრრევოლუციურ საქმიანობაში და გაანადგურეს, მისი ლიდერები დააპატიმრეს და გილიოტინა მიუსაჯეს. კომპანიის მთელი ქონება (28,5 მილიონი ლივრის ღირებულების) ყადაღის ქვეშ მოექცა. იაკობინელების დიქტატურის დაცემის შემდეგ საფრანგეთის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის საქმიანობის განახლების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. 1795 წელს კომპანიის ყოფილმა აქციონერებმა, რომლებმაც მოახერხეს მხოლოდ 3 სავაჭრო გემის დაბრუნება, გადაწყვიტეს კომპანიის საბოლოო დაშლა.

დასკვნა

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი საპაიო კომპანიების ისტორია. უცხოურ წყაროებსა და ნაშრომებზე დაყრდნობით ჩვენ ნაწილობრივ შევისწავლეთ ინგლისის, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის და ლევანტის საპაიო კომპანიები. ამჯერად წარმოვადგინეთ ნაშრომი „საფრანგეთის საპაიო კომპანია“, რაც ასევე არ არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ირკვევა, რომ საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია იყო ერთ-ერთი უმდიდრესი კომპანია, რომლის ქონება 285 მილიონ ლივრს შეადგენდა. ის ფინანსურად წინ უსწრებდა სხვა ინგლისის, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიებს.

მეფე ლუი XIV (1643-1715 წწ) თვითონ ყოფილა აქციონერი და აქტიურად მონაწილებდა კომპანიის ფინანსურ საქმეებში. ის სრულ მატერიალურ და იურიდიულ მხარდაჭერას უცხადებდა კომპანიის ვაჭრებს. მზად ყოფილა მათ დასაცავად აფრიკის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ინდოეთის მიმართულებით თავისი ხარჯით სამხედრო გემებიც კი გაეგზავნა.

კომპანიში აქციები შეჰქონდა მეფის გარდა მის ქვეშევრდომებს: დედოფალს, დოფინ კოლბერს, კანცლერ პიერ დე სეგიეს, თავადაზნაურობას, მერებს, მდიდარ ქალაქელებს.

კომპანიის წევრთა უფლებები: დირექტორთა საბჭოს არჩევა, ხმის მიცემის უფლება და ა. შ. განისაზღვრებოდა კომპანიის წევრთა მატერიალური მდგომარეობით, მათ მიერ კომპანიაში შეტანილი წილის მიხედვით.

კომპანიას ექვსი ოფისი ჰქონდა გახსნილი: პარიზში, რუანაში, ბორდოში, ჰავრში, ლიონსა და ნანტში.

საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის წყალობით აღმოსავლეთიდან მოედინებოდა დიდძალი საქონელი: ოქრო, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, მარჯანი, ძვირფასი ქსოვილები, სხვადასხვა სანელებლები და ა. შ, რომელიც ქვეყანას დიდძალ მოგებას უტოვებდა.

ირკვევა, რომ საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანია განსხვავდებოდა სხვა ბრიტანული, ჰოლანდიური, დანიური ოსტ-ინდოეთის კომპანიებისაგან, თავისი

მატერიალური მდგომარეობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის იყო ყველაზე მდიდარი კომპანია. მაგრამ მან ვერ შეინარჩუნა თავისი მონოპოლია აღმოსავლეთში, პირველ რიგში იმიტომ, რომ ინგლისი უწევდა კონკურენციას, რის გამოც კომპანია 1795 წელს დაიშალა. როგორც ირკვევა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანია დიდ კონკურენციას უწევდა საფრანგეთის გარდა პორტუგალიის, ჰოლანდიის, დანიის ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიებს. საბოლოოდ ინგლისმა აღმოსავლეთში მონოპოლია მოიპოვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა კომპანიებმა თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აღმოსავლეთის კოლონიურ ექსპანსიაში და თავიანთი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Beltadze, I. (2023). From the history of Levant Bonding Company. Publishing house ”Science Journals” *History, Arcaeology, Etnology.* No IX. (P. 351-363).

ბელთაძე, ი. (2022ა). ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია. *ცხუმ -აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები.* ტომი 22, თბილისი. (გვ.70-80).

ბელთაძე, ი. (2022ბ). ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის სათავეებთან. *ბსუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“.* ტ. V, №1. ბათუმი. (გვ. 68-80).

Каминка А.И. (1902). *Акционерные компании. Юридическое исследованиею* .Т.I. СПБ. (стр. 287-288)

Кулишер, И. М. (2004). *История экономического быта Западной Европы* т. Челябинск (стр.13-31).

Лоппо-Даниловский, А.С. (1899). *Русские промышленные и торговые компании в первой половине XVIII столетия.* СПБ. (стр. 17-27).

Смит, А. (2009). *Исследование о природе и причинах богатство народов.* Перевод с английского В.С. Афанасьева, М., (Стр.27).

Тарасов, И.Т. (2000). *Ученые об Акционерных компаниях.* М. (стр.94-95).

Черкасова, П.П. (1983). *Очерк колониальной экспансии во Франции в XVI-XX вв.* М.

REFERENCES

Beltadze, I. (2023). From the history of Levant Bonding Company. Publishing house "Science Journals" *History, Arcaeology, Etnology.* No IX. (P.351-363).

beltadze, i. (2022a). holandiis ost'-indoetis k'omp'ania. tskhum -apkhazetis metsnierebata ak'ademiis shromebi. t'omi 22. [Dutch East India Company. Proceedings of Tskhum Academy of Sciences of Abkhazia. Volume 22]. Tbilisi. (pp. 70-80).

beltadze, i. (2022b). ost'-indoetis savach'ro k'omp'aniis sataveebtan. bsu saertashoriso sametsniero zhurnali aghmosavletmtsodneobis matsne. [At the headquarters of the East India Trading Company. BSU International Scientific Journal of Oriental Studies, Vol. V, No. 1]. Batumi. (pp. 68-80).

Kaminka A.I. (1902). Akcionernye kompanii. Juridicheskoe issledovanieju .T.I. SPB. (str.287-288)

Kulisher, I. M. (2004). Istorija jekonomicheskogo byta Zapadnoj Evropy t.1-2- Cheljabinsk (str.13-31).

Loppo-Danilovskij, A.S. (1899). Russkie promyshlennye i torgovye kompanii v pervoj polovine XVIII stoletija-SPB. (str.17-27).

Smit, A. (2009). Issledovanie o prirode i prichinah bogatstvo narodov. Perevod s anglijskogo V.S. Afanas'eva, M. (Str.27).

Tarasov, I.T. (2000). Uchenye ob Akcionernyh kompanijah. M. (str.94-95).

Cherkasova, P.P. (1983). Ocherk kolonial'noj jekspansii vo Francii v XVI-XX vv. M.